

შპს „შპს კამარა“

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება

2023

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	13
4. კორექტირება წარდგენის მიზნებისათვის.....	14
5. ძირითადი საშუალებები.....	15
6. არამატერიალური აქტივები.....	16
7. მარაგები	16
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	16
9. ფული და ფულის ექვივალენტები.....	17
10. მიღებული სესხები.....	17
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
12. შემოსავალი.....	17
13. ბალანსის შემდგომი მოვლენები	18
14. ბალანსის შემდგომი მოვლენები	18

შპს „შპს კამარა“-ს 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Note	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	1 905 126	1 986 663	2 042 316
საინვესტიციო ქონება		0	0	0
გრძელვადიანი გაცემული სესხი		1 333 722	1 219 972	1 219 972
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		0	0	0
		3 238 849	3 206 635	3 262 288
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	9	169 517	298 129	57 433
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	8	1 572 968	1 285 801	709 664
მარაგები	7	3 242 971	3 211 256	2 073 959
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		123 754	0	0
		5 109 210	4 795 186	2 841 056
მთლიანი აქტივები		8 348 059	8 001 821	6 103 345
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		907 021	907 021	907 021
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4 218 543	2 988 319	2 298 960
გადაფასების რეზერვი		0	0	0
		5 125 564	3 895 339	3 205 980
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	10	872 747	1 302 744	1 400 000
ანარიცხები		0	0	0
		872 747	1 302 744	1 400 000
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		0	0	0
გადავადებული შემოსავალი		0	0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	2 438 786	2 905 708	1 546 857
საგადასახადო ვალდებულებები		-89 038	-101 969	-49 493
გადასახდელი პროცენტი		0	0	0
გადასახდელი დივიდენდი		0	0	0
		2 349 748	2 803 738	1 497 364
მთლიანი ვალდებულებები		3 222 494	4 106 482	2 897 364
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		8 348 059	8 001 821	6 103 345

შპს „შპს კამარა“-ს 2023 წლის წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	Note	31.12.2023	31.12.2022
ამონაგები	12	6 521 556	5 847 200
თვითღირებულება		(2 061 896)	(2 265 232)
საერთო მოგება		4 459 660	3 581 968
სხვა შემოსავლები		147 644	288 681
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	13	(2 733 333)	(2 256 917)
მიწოდების დანახარჯები		(192 031)	(254 663)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		(17 833)	(16 232)
სხვა ხარჯები		(207 982)	(369 894)
საოპერაციო მოგება		1 456 125	972 944
მოგება დაბეგვრამდე		1 456 125	972 944
პერიოდის მოგება		1 456 125	972 944
სხვა სრული შემოსავალი:			
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		1 456 125	972 944

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 1 იანვარი	907 021	0	2 298 960	3 205 980
მოგება წლის ბოლოს			972 944	972 944
სხვა სრული შემოსავალი		-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	972 944	972 944
გაცემული დივიდენდი			(283 584)	(283 584)
2022 წლის 31 დეკემბერი	907 021	-	2 988 319	3 895 339
მოგება წლის ბოლოს			1 456 125	1 456 125
სხვა სრული შემოსავალი		-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1 456 125	1 456 125
გაცემული დივიდენდი			(349 654)	(349 654)
2023 წლის 31 დეკემბერი	907 021	-	4 094 790	5 001 810

საწყისი	298 129	57 433
საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	0	475 000
შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან		475 000
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	7 479 724	7 644 168
სხვა შესყიდვები (სამეურნეო მარაგი)	364 485	60 106
მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები (საქართველო)	7 076 096	7 578 957
მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები (უცხოეთიდან)	6 338	
სხვა შემოსავლები	290	5 105
კონვერტაციის (გადაფასებაც, შიდა გადარიცხვები) ხარჯი	32 514	
საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	228 762	172 325
ძირითადი საშუალებების შეძენა	228 762	172 325
საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	429 997	572 256
შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან	429 997	572 256
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	6 949 576	7 133 891
ხელფასები	922 896	770 607
საწვავი	33 066	52 820
კომუნალურები და კომუნიკაციის ხარჯი	102 309	87 283
მომსახურებაზე გაწეული ხარჯი	955 039	1 128 700
სხვა შესყიდვები (სამეურნეო მარაგი)	1 137 369	648 315
მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები (საქართველო)	151 397	10 418
სხვა ხარჯი (მცირე ფასიანი)	160	165
სხვა ხარჯი	14 396	10 455
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები (ნედლეული)	1 819 080	2 670 020
გადახდილი პროცენტები	32 538	44 650
გადახდილი გადასახადები (ბიუჯეტში)	1 384 391	1 202 275
მივლინება	8 784	35 859
საპენსიო ხარჯი	42 600	75 785
გაცემული დივიდენტი	334 312	308 931
ბანკის საკომისიო	11 240	14 445
კონვერტაციის (გადაფასებაც, შიდა გადარიცხვები) ხარჯი		73 162
საბოლოო	169 518	298 129

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „შპს კამარა“ (206247630) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვის მასალის იმპორტი, გადამუშავება, რეალიზაცია. კომპანია დაფუძნდა 2006 წელს. შპს-ს დაფუძნების დღიდან დღემდე წილის 50% ფლობს დავით მაჭავარიანი, ხოლო მეორე 50% ფლობს გიორგი მაჭავარიანი. კომპანიის დირექტორი არის გიორგი მაჭავარიანი

მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისის სამგორის რაიონში, მოსკოვის გამზ., N 18 , ბ.

ფაქტიური მისამართი - საქართველო, მარნეულის გზატკეცილი #64

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის - 2017 წლის 1 იანვრისთვის, კომპანიას არ გამოუყენებია მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“ - მიხედვით მოცემული შედეგები (კონკრეტულ მუხლებზე გამოსაყენებელი გათავისუფლებები).

2017 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, მსს ფასს-ებზე გადასვლით გამოწვეული კორექტირებები იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური

ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2023, 2022, წლის 31 დეკემბერსა და 2022 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
2022 წლის 1 იანვრისათვის	3.0976	3.5040

2.4 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
შენობა ნაგებობები	30-50 წელი
საოფისე აღჭურვილობა	3-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	6-15 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.5 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 7-10 წლით.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამებს.

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალ ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალ ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

2.7 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა,

მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება „საშუალო შეწონილი“ მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწარმო მარაგის ჩამოწერას „საშუალო შეწონილი“ მეთოდით.

2.10 საგარანტიო ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

2.11 შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა

საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

2.12 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

2.13 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმომ განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა

და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4. კორექტირება წარდგენის მიზნებისათვის

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება კომპანიამ პირველად წარადგინა მსს ფასს-ების მიხედვით. მიუხედავად ამის კომპანია ცვეთას ითვლიდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (წრფივი მეთოდის გამოყენებით).

შპს „კამარა“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023, 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2022	148 493	751 007	1 870 551	87 532	185 853	22 849	3 066 284
შემოსვლა	-		25 669	16 717	73 265	-	115 651
გადაფასება							-
გასვლა							-
31 დეკემბერი 2023	148 493	751 007	1 896 221	104 248	259 118	22 849	3 181 935
ცვეთა და გაუფასურება							
31 დეკემბერი 2022	-	148 822	805 757	49 545	67 643	7 854	1 079 621
პერიოდის ცვეთა		20 671	148 160	10 895	15 763	1 698	197 188
გაუფასურება							-
გასვლა							-
31 დეკემბერი 2023	-	169 493	953 917	60 441	83 406	9 552	1 276 809
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2022	148 493	602 184	1 064 794	37 986	118 210	14 995	1 986 663
31 დეკემბერი 2023	148 493	581 514	942 304	43 808	175 712	13 297	1 905 126

შპს „კამარა“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ცფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2023, 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასაშვები ღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
დასაშვები ღირებულება 31.12.2022	22 849	22 849
შემოსვლა	-	-
გასვლა		
დასაშვები ღირებულება 31.12.2023	22 849	22 849
დაგროვილი ცვეთა		
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	7 854	7 854
ცვეთა	1 698	1 698
დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	9 552	9 552
წმინდა საბალანსო ღირებულება		
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2022	14 995	14 995
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2023	13 297	13 297

7. მარაგები

	2023	2022
ნედლეული და მასალები	2 999 780	3 074 281
დაუმთავრებელი წარმოება		
მზა პროდუქცია	243 191	136 975
სულ	3 242 971	3 211 256

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	1 385 937	1 250 699
გადახდილი ავანსები	187 032	35 102
სულ	1 572 968	1 285 801

შპს „კამარა“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

9. ფული და ფულის ექვივალენტები

	2023	2022
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	2 443	1 009
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები	167 074	297 120
სულ	169 517	298 129

10. მიღებული სესხები

	2023	2022
გრძელვადიანი		
საბანკო სესხები	872 747	1 302 744
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
	872 747	1 302 744

მოკლევადიანი		
საბანკო ოვერდრაფტი		
საბანკო სესხები		
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	-	-
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
	-	-
სულ სესხები	872 747	1 302 744

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	544 520	474 943
მიღებული ავანსები	1 894 266	2 430 765
სულ	2 438 786	2 905 708

12. შემოსავალი

	2023	2022
საქონლის გაყიდვა	6 580 597	6 015 815
დაბრუნებული გაყიდული საქონელი	59 041	168 614
სულ	6 521 556	5 847 200

13. ბალანსის შემდგომი მოვლენები

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	1 971 438	1 689 458
საპენსიო ანარიცხის ხარჯი	21 901	19 625
სამივლინებო ხარჯი	23 133	39 361
საკონსულტაციო ხარჯები	96 610	89 831
ცვეთა და ამორტიზაცია	197 188	190 201
სხვა საგადასახადო ხარჯი	4 228	4 294
სხვა საერთო ხარჯი	418 835	224 147
სულ	2 733 333	2 256 917

14. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ბალანსის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომელთა განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნება აუცილებელია.

დირექტორი: გიორგი მაჭავარიანი

ხელმოწერა-----